სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში

მომხსენებელი თეონა ქობალია

ელ-ფოსტა: teona.kobalia636@ens.tsu.edu.ge გეოგრაფიის დეპარტამენტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის მდგომარეობა საქართველოში, ასევე პრობლემები, პერსპექტივები, მნიშვნელობა და როლი ქვეყნისათვის. სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი არ არის სიახლე მსოფლიოსთვის, ეს პროცესია, როდესაც ადამიანები მიემგზავრებიან სხვა ქვეყანაში ან რეგიონში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ან სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. ტურიზმის ამ სახეობების განვითარებას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები, როგორებიცაა: სანდოობა, მომსახურების ხარისხი, მარტივი ხელმისაწვდომობა ფასი და სხვა.

სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის სახეობების განვითარება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ეს თემა აქტუალურია მსოფლიო მასშტაბით და საქართველოშიც იზრდება დაინტერესება.

გარდა ამისა, გამაჯანსაღებელი ტურიზმი მხარს უჭერს გარემოს მდგრად განვითარებას და შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს რეგიონული ტურიზმის მიმართულებით, რადგან პოტენციურად უფრო მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფასეულობები სხვა ტურიზმის ფორმებთან შედარებით, რაც ხელს უწყობს მდგრადობის გაზრდას.